გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი — ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვ: ს საგაზეთოს, ცენტრალურს ბ გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1886 წელიწადი

იმ ხელის მოწერთ, რომელთაც მხოლოდ ხუთი მანათი აქვსთ შემოტანილი გაზეთის გზავნა მოესპოთ 1 მაისს. ვინც ერთ მანათს კიდევ შემოიტანს ორის თთვის განმავლობაში კიდევ მიუვათ გაზეთი. და შემოსატანი ფული წლის დამლევამდე 4—მანათი-ღა იქნება.

ქუთაისის სააღგილ-მამულო ბანკის განცხადებაში სოფლების მამულების შესახებ დაბეჭდილია, რომ ვაჭრობა

11 ივლისს იქმნებაო,

დაბეჭდილი უნდა იყოს:

11 ივნისს.

ᲥᲐᲗᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

დღეს, კვირას, 11 მაისს

არტისტება მ. მ. მძინარიშვილისა

ქართული დრამატიული დასის არტისტების დახმარებით წარმოადგენენ

I

ᲐᲦᲛᲖᲠᲓᲔᲚᲔᲑᲘ

სამ მოქმედებიანი კომედია თხზ. ა. მოჩხუბარიძისა.

II

ᲙᲐᲠᲘᲙᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐᲡ

ვოდევილი 1 მოქმედებად.

დასაწყისი 8 საათზედ.

ფელეტონი

უცხოთა შორის

მარკომანია.—ფოსტის მარკების გროვა.—მარკების ურნალი და ბირჟა.—როდის არის მოგონილი მარკა ფოსტისა.—რა შემთხვევამ მისცა აზრი ამათ მომგონს.—ტიულპანომანია.—როგორა ფასობდა ჰოლანდიაში ტიულპანი.—ხარაზის შავის ტიულპანის ამბავი.—მატროსი და მისი სამხარი.—აკრძალვა ტიულპანით ვაჭრობისა.—გრაფ პატოცკის თავლა პარიჟშია.—ცოლისგან დამრჩვალი ქმარი.

საკვირველია, რომ კაცობრიობის ისტორიაში ყოფილა ყოველთვის ისეთი დრო, როდესაც ხალხს გასართობად შემოუღია უაზრო ჩვეულება ანუ, უკეთ ვსთქვათ, მოდა. ავიღოთ თუნდა მაგალითად ეხლანდელი «ფოსტის მარკები»-ს მოგროვება! რა აზრია, ანუ რა გასართობია ყველა ქვეყნის მარკების მოგროვება?.. ეხლა მთელი ევროპა ამაზედ არის გადარეული. რამდენიმე ჟურნალი გამოდის საფრანგეთში, რომელიც საკუთრად ამ საგანს შეეხება; ჟურნალების გარდა „მარკებს“ ცალკე ბირჟა აქვს, ასე რომ მთელი კოლექციები ისყიდება, როგორც სახელმწიფო ფულის ქაღალდები.—ზოგიერთა კოლექცია ღირს რამდენიმე ათას თუმნად!!.. საკვირველი ის არის, რომ ძველის გათხუპნულის წიგნიდგან აღრობილი მარკა უფრო ფასობს, მინამ ახალი და უხმარებელი! არიან აგრეთვე მდიდარი მარკების ეაჭრები, რომელთაც ყველგანა ჰყავთ აგენტები მარკების მოსაგროვებლად. თუ შეგინიშნავთ, ტფილისის ქაღალდის მაღაზიებშიაც კი არის გამოფენილი რამდენიმე გროვა. როგორც შეიტყეთ აქაც არიან აგენტები, რომელნიც მარკებს აგროვებენ მეტადრე სპარსეთისასა. ჩვენში კი ვგონებ ბევრი არ მოიპოვებოდეს იმისთანა მოყვარე, რომელმაც რამდენიმე ათასი თუმანი გამოიმეტოს ამ კოლლექციებისათვის... და მადლობა ღმერთს!.. მარკები, რომ დიდიხნის შემოღებული ყოფილიყოს, კიდევ კაცი მიხვდებოდა ძველთა ნივთთა მოყვარეობას, მაგრამ საქმე ის არის, რომ 50 წელიწადი არც კია, რაც მარკები შემოვიდა. ვგონებ საინტერესო იყოს მკითხველთათვის მარკის ისტორია, რომელიც ახლა მინდა მოვახსენო.

ამ ოც-და-ათის წლის წინად ერთი მგზავრი მივიდა ინგლისში, და როდესაც სასტუმროში უნდა ჩამომხტარიყო, ფოსტალიონმა წერილი მოიტანა ამ სახლში. ამ წერილის მისაღებად გამოვიდა ახალ-გაზდა ქალი, გამოართვა ფოსტალიონს წერილი, რამდენსამე ხანს ატრიალა წერილი ხელში, დააკვირდა და მერე ჰკითხა, რა უნდა მოგცეო?.. ფოსტალიონმა მანათზედ მეტი სთხოვა. ქალმა ამოიოხრა, სთქვა, რომ ეს წერილი ჩემის ძმისაგან არისო, მაგრამ ფულები არა მაქვსო და ამ წიგნს ვერ მივიღებ, ისევ უკან წაიღეო. ამ დროს მგზავრი მიახლოვდა და ქალსა სთხოვა, ნება მომეცით მე დაგიხსნათ ეს წერილიო. ქალმა დიდი უარი სთქვა და ფოსტალიონმა წიგნი უკანვე წაიღო. ამ საქციელმა ძალიან გააკვირა მგზავრი და ისურვა შეტყობა, რის მიზეზითა სთქვა ქალმა უარიო. ქალმა ღიმილით უპასუხა, რომ ფულის მიცემა არა ღირდა, რადგანაც წერილი კიდეც წავიკითხეო. შიგ კანვერტში არა არის რა დაწერილიო, ზევიდგან რამდენიმე ნიშანი იყო და ყველა გავიგე, რაც მინდოდაო. რადგანაც წიგნის მიწერა ძვირადა ღირსო,—მე და ჩემმა ძმამ ეს საშუალება მოვიგონეთო. ამ აზრმა მგზავრი დააფიქრა; და როგორც ამბობს ისტორია, «ჯერ მზე არ ჩასულიყოო», რომ **რაულანდ-ჰილმა** (საცა ზემოხსენებული მგზავრი იყო) ახალი ფოსტის წესი გაიჩინაო. უწინ წერილის ფასი მანზილზედ

ტფილისი, 10 მაისს

დიდი ხანია გამოცხადებული იყო, რომ ტფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის მორიგი კრება დაიწყება ოთხს მაისსა. შირველ გამოცხადების ხანიდამვე ყოველის მხრიდამ ისმოდა ხმები, რომ ამ კრებისათვის დიდი მზადება არისო. ვისაც საზოგადო საქმე უყვარს, ვისაც უცვნია მისი მნიშვნელობა და ძვირად ულირს მისი ავ-კარგიანობა, მისთვის ეს ხმები სასიამოვნო უნდა ყოფილიყო. ეს ხმები ცხადი ნიშანია მისი, რომ ჩვენში საზოგადო საქმის მიმართ გულის ტკივილი თან-და-თან მატულობს და აი სწორედ ამ მატებაშია თვითონ საქმის წარმატების იმედი. იყო დრო, როცა ბანკის კრების ხსენებაზედ ყურსაც არავინ იბერტყუდა, თითქო აქ არაფერი ამბავიაო. იყო დრო, როცა არამც თუ რაიმე მზადება კრებისათვის, ჩამი-ჩუმიც არ იყო ხოლმე ამის თაობაზედ და ბანკის მომხრენი ჭშიშობდნენ კიდეც, ვაი თუ შირველ ხანში არც კი შესდგეს კრებაო და კანონის მიერ სავალდებულოდ აღნიშნული ორმოც-და-ათი წევრიც არ მოგროვდეს კრებაზე, რომ კრება გაიმართოსო. რამდენიმე მაგალითიც ყოფილა, რომ მართლა ეს კანონიერი რიცხვი წევრთა არ მოგროვებულიყოს. მაშინდელს აქაურს რუსულ ჟურნალ-გაზეთობას, რომელიც ჩვენებურების ხელში იყო, სიცილად არა ჰყოფნიდა ამისთანა ამბავი და საქვეყნოდ გაიძახოდნენ, რომ მკვდრად დაბადებულმა საქმემ ასე იცისო. არ ვიცით კი რად და მაშინდელს ჟურნალ-გაზეთობას ბანკის საქმეაჩემებული ჰქონდა არა იმიტომ რომ უკეთეს გზაზედ დაეყენებინათ, არამედ თითქო იმიტომ რომ საერთოდ ამ ახლად შემოდებულს საქმეს სახელი გაუტეხონ და შირველ დღითვე აბრუ გაუცუდონ საზოგადოების თვალში. ეხლაც კანტი-კუნტად ისმის ამისთანა ხმები ბანკის თაობაზედ და, სამწუხაროდ ჩვენდა, ზოგჯერ იმისთანა გაცთაგანაც, რომელთზედაც საზოგადოებას სამართლიანი იმედი აქვს, რომ ჯერ დაფიქრდება და მერე იტყვისო.

ყველამ, რასაკვირველია, თავისი იცის, ჩვენ კი ამას აღვნიშნავთ, რომ შირველ ხანებში ბანკის საქმეებს ყურს მარტო ორიოდ კაცი ადევნებდა და ბევრისათვის კი ეს ახალი საქმე არასფერს საინტერესოს არ წარმოადგენდა. ბანკის მომხრეთა სწამდათ, რომ ბანკი დღესა თუ ხვალ მოიპოვებს ყურადღებას და გულის-ტკივილს საზოგადოების მხრით; სწამდათ, რომ ბანკს, გარდა საკრედიტო მნიშვნელობისა, ბევრი სხვა იმისთანა მნიშვნელობაცა აქვს ჩვენთვის, რომელსაც არ შეიძლება არ ჩაუფიქრდეს ჩვენი საზოგადოება თავის დროზედ და რაკი ჩაუფიქრდება, ხელსაც ჩასჭიდებს მომეტებულის თანაგრძნობით და გულის-ტკივილითა. სწორედ ასეც მოხდა და ასეც ახდა, ჩვენდა საკეთილოდ და ჩვენდა იმედად.

დღეს ბანკზედ, ავად თუ კარგად, ყველგან ლაპარაკობენ, მის სვე-ბედზედ სჯა და ბაასი აქვთ, მის განკარგებისა და საკეთილო და საიმედო გზაზედ დაყენების გამო ჰფიქრობენ, ნაკლს და ღირსებას უჩხრეკენ, უსინჯავენ და ჩვენდა საბედნიეროდ ესეც უნდა დავუმატოთ, რომ თან-და-თან უფრო ცნობიერად, უფრო მომეტებულის ცოდნით, უფრო დიდის გულ-წრფელობით, საქმისადმი უფრო მეტის სიყვარულით ეკიდებიან ბანკის ავ-კარგიანობის ყოფასა და სვლასა. ეს სანუგეშო ამბავი, ჯერ თვით ბანკისათვის და მერე თვით საზოგადოებისათვისაც, ფრიად საყურადღებოა და ხელზედ დასახვევი მათ წინააღმდეგ, ვისაც გული გატეხილი ჰქონდა სასო-წარკვეთილებისაგან, რომ ჩვენში არა გაკეთდება-რა, რადგანაც გულ-გრილნი, მცონარენი და დაუდევარნი ვართო.

ეს თერთმეტი წელიწადია თითქმის რაც ბანკი არსებობს. რაც ამ ხანს კრება მოხდარა, კაცი რომ დააკვირდეს, ნახავს, რომ თვითვეული შემდეგი კრება წინანდელს ბევრით და გაცილებით სჯობნებია არამც თუ მარტო წევრთა რიცხვით, არამედ შინაგანის ღირსებითაც. ყოველი შემდეგი კრება წინანდელზედ უფრო ცნობიერი, უფრო მცოდნე, უფრო ფრთხილი, უფრო გულ-ახდილი და გულ-წრფელი მოსიყვარულე ყოფილა საქმისა. ეს, რაცა ვსთქვით, ყოველს ეჭვს გარედ არის და ამიტომაც შეგვიძლიან ჩვენი იმედი უკეთესად საქმის წარმართვისა თამამად დავამყაროთ ამ სარწმუნო საბუთზედა. ჩვენ ჩვენის კრების კეთილ-გონიერებასა და გამჭრიახობაზედ ეჭვი თავის დღეში არ შეგვიტანია, მცირეოდენი ადგილიც ჩვენის გულისა ამ ეჭვისათვის არას დროს არ დაგვითმია და თვითონ კრებასაც არც ერთხელ მიზეზი არ მოუცია, რომ ჩვენს უეჭველობას საძირკველი შერყეოდეს და ჩვენი მისდამი იმედი არ გამართლებულიყოს.

ამიტომაც იგი ხმები, რომელიც რაღაც მუქარასავით წინა უძღოდნენ წლევანდელს კრებასა, არც ერთს ჩვენის საზოგადოების გულ-წრფელს მცოდნეს გულს არ უტეხდნენ. ყოველი გულ-მოდგინე და გულ-მართალი კაცი წინადვე ჰგრძნობდა, რომ არავისი მეცადინეობა და ხერხი სიმართლის კვალიდამ არ ამოაგდებს იმ ბარსაკვეთს სამართლიანის განკითხვისას, რომელიც ჩვენ ჩვენის საზოგადოების კეთილ გონიერებად დაგვისახელებია და გვიცვნია. ეგ იმედი სამართლიანის განკითხვისა ყოფილა, არის და იქნება იმ მანუგეშებელ ზნეობრივ ძალ-ღონა XVII საუკუნეში **ტიულპანის** გამო (ქართულად **ტიტა**) გატაცება. იქნება ბევრს ჩვენს მკითხველს აღარც კი ახსოვდეს ეს დიდად საინტერესო მხარე კაცობრიობის გატაცებულობისა. მცენარე ტიულპანი მშვენიერი ყვავილია: ძირი აქვს როგორც ხახვსა და რომ ითესება, ღერები ამოსდის და ისხამს სხვა-და-სხვა ფერის ყვავილსა, გარდა ლურჯისა. ამბობენ, ეს მცენარე სპარსეთიდგან არის მოტანილი ევროპაშიო. პირველად ეს ყვავილი ნიდგრლანდში 1575 წელსა კლუზიუსმა მოიტანა სტამბოლიდგან. ამ დროიდგან დაიწყო ტიულპანომანია, ანუ, როგორც სწორეთ ეძახდნენ, „ტიულპანის სიგიჟე“. ჰოლანდიაში და ნიდერლანდიაში ტიულპანის მოყვანას რამდენიმე ათასი კაცი შეუდგა და თითო ყვავილი, რომელიც ეხლა აბაზად იყიდით, დიდ ძალი ფული ღირდა. პარლემის ქალაქში ტიულპანის ბირჟა გაიმართა, და ზოგიერთა ყვავილი **ათხას თუმნამდინ** ჰფასობდა. მე XVII-ტე საუკუნის დაწყობას ჰოლანდიაში ტიულპანის ვაჭრობამ მართლა რომ ზღაპრული სიერცე მიიღო. სამ წელიწადში ათი მილლიონის მანეთის ტიულპანი გაიყიდა. ერთი ფერად ფერადი ტიულპანთა გროვა გაიყიდა საჯარო ვაჭრობით... **ცხრასს თუმნად!** ერთმა პიეის

ბეჭდავს ილია ჭავჭავაძე

ნედ, ურომლისოდაც ყოველი მოდვაწე, საზოგადო ასპარეზზედ გამოსული, გულ-მკვდარია, უძლური და დაძაბუნებული. მრავალ კეცი და რთული პასუხის-გება საზოგადო მოდვაწისა დიდი ჭირიც არის მისთვის და დიდი ლხინიცა. ხოლო ვიდრე პასუხის-გება ლხინად გადაექცევა, ჯერ ათასს უსიამოვნობას, ათასს ვაივაგლახს, ათასს კიცხვას და გილვას გამოივლის ხოლმე. იგი ამ მხრით მეიდანზედ გამოკიდებული ნიშანია და, საჭიროება ითხოვს თუ არ ითხოვს, ყველა უმიზნებს და ესვრის თავის ისარს, ზოგჯერ ტყუილ-უბრალო კიცხვაში ამოვლებულს და მტრობის გულ-ქვაობაზედ პირ-გალესილსა. ესეთი ყოფა აუცილებელია საზოგადო მოდვაწისათვის და სწორედ აუტანელი იქნებოდა, რომ ბოლოს-და ბოლოს სამართლიანის განკითხვის იმედი არ ასულდგმარებდეს და მაგ განკითხვაში არა ჰპოულობდეს ჯილდოს გამოვლილის მწუხარების სამაგიეროდ. იგი სამართლიანი განკითხვაა მისი ფარი, როცა ზედ-მოესევიან და მისი ხმალი, როცა თვით მიესევა. წლევანდელმა კრებამ ბანკისამ ყოველ უწინდელ კრებაზედ მომეტებულად დაანახვა ქვეყანას, რომ საზოგადო მოდვაწის ბურჯი თვითონ საზოგადოებაა და საზოგადოების გაუბრუდებელი სამართლიანობა. ამაშია იგი წყარო დონისა, მხნეობისა და გულ-მოდგინეობისა, იგი წყარო, რომელსაცა სვამს საზოგადო მოდვაწე, როცა კიცხვა და კილვა, ათასს ნაირი მწუხარება და უსიამოვნება გულს უშრობს ხოლმე რთულისა და მძიმე მოვალეობის ასრულების გზაზედ. ამით იგრილებს იგი დამწვარს გულს და იფონებს კიცხვა-კილვისაგან შეხუთულს სულსა და ერთი წუთი ამისთანა მოფონებისა მთელის წლების მწუხარებას გადააჭარბებს ხოლმე თვისის ღირსებითა და სიკეთითა.

ახალი ამბავი

*** სწორედ საღამო ხანზე, როცა წმინდა ჰაერის სასუნთქებლად გამოდიან ალექსანდროვის ბაღში, დაიწყობენ ხოლმე რწყვას იმ ხეივნებისას, რომლებიც ხალხით არის ხოლმე სავსე და ისე ატალახებენ, რომ იქ სეირნობა აღარ შეიძლება. ურიგო არ იქნებოდა, ყურადღება მიექციათ ამ გარემოებისათვის რომ ხალხის შეუკრებამდე მოერწყოთ ხოლმე ეს ერთად ერთი სასეირნო ბაღი ქალაქის შუა-გულისა.

*** 1882 წ. 1 მაისიდგან 1886 წ. 1 იანვრამდე ბათუმში მართლ-მადიდებელთა ეკლესიის ასაგებად შეწირული ფული შემდგარა 124,830 მან. 97 კაპეიკამდე. ამ ფულში 108,801 მან. 3 კაპ. ინახევება ტფილისის სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში, 2,449 მან, 43 მან.—ქუთაისის ურთი-ერთის ნდობის საზოგადოებაში, ფულად ქუთაისის ხაზინაში 4,769 მან. 93 კაპ., ბათუმის წმ. მიხეილის ეკლესიამ ისესხა 3,127 მან. 24 კაპ. სულ 119,147 მან. 66 კ. დანარჩენი 5,683 მან. 31 კაპ. დახარჯულა ფულის მოსაგროებელ ყულაბების შესაძენად, ბლანკების დაბეჭდვასა და მწერლების ჯამაგირზე და სხვანი.

*** სურამიდგან გვწერენ: გუშინ, 7 მაისს, ბეჟათუბნის რკინის-გზის სადგომის სიახლოვეს, ბალახებში სოფლის მწყემსებმა ნახეს ახლად შობილი მტირალა ბაშვი (ვაჟი-შვილი). მწყემსებმა იმ წამსვე აცნობინეს იმ დროზედ რკინის გზაზედ მომუშავე ხალხთა უმფროსსა. ამ უკანასკნელმა გამოუცხადა ადგილობრივ მამასახლისს, დაებარებინა აგრეთვე მღვდელი და ნაპოვნი ყმაწვილი მოანათლინა. ამ სტანციის, აღმოსავლეთით, ორი ვერსის მანძილზედ მდებარეობს ს. გოლათუბანი, რომელსაც ქალთა ფეხ-რბილობას და ვაჟთა „დონ-ჟუანობას“ სწამებენ. ამბობენ, რომ ეს ბაშვი ამ სოფელში უნდა იყოს დაბადებულიო ..

*** სურამიდამვე გვწერენ: ყანები ჩვენსკენ მუხლ-ნაყარია, წელამდის სწვდება კაცსა, სიმინდებსაც კარგი პირი უჩანს; ცოტა არ იყოს ქარმა შეაწუხა, რომელიც, განსაკუთრებით სურამ-ხაშურის ვაკეებზე მთელ კვირაობით ჰქრის ხანდისხანაო; წვიმას ეს ორი დღეა შინდის მარცვლის ტოლა სეტყვა მოსდევს, მაგრამ გაღონიერებულს ყანებს ვერაფერს აკლებსო.

*** ზემო-ჭალიდამ გვწერენ: უქმე დღე ისე არ გავა, რომ სურამის სკოლის შეგირდებმა ზემო ჭალის სკოლაში არ ჩამოისეირნონ ხოლმე. ორის სკოლის შეგირდების დაახლოებას ერთმანერთთან ძალიან კარგი გაელენა აქვს შეგირდების განვითარებაზე. საქართველოს ისტორიის ამბებს დიდის სიამოვნებით ისმენენ ყმაწვილები მასწავლებლისაგანაო.

*** თელავიდამ მოუწერიათ, რომ ამ ბოლოს დროს აქ და ახლო-მახლო სოფლებში ძალიან გახშირდა წვრილი ქურდობა, ერთმანეთის დაჭრა და მკვლელობაც-კიო. 23 აპრილს ს. იყალთოში გლეხი სოსიკო ხიზანოვ-შაშვიაშვილი წაეჩხუბა თავისავე სოფლელს ანდრია შაშვიაშვილს და ისე სცემა, რომ უკანასკნელი გარდაიცვალაო.

26 აპრილს, თელავში და სოფ. კურდღელაურსა, ენისელსა, გრემსა, საბუესა, აგდომსა, წინონდალსა, კისისხევსა და კონდოლში სიმინდის მარცვლის ოდენი სეტყვა მოვიდაო. აი რამდენი ზარალი მოიტანა ამ სეტყვამ: სოფ. კურდღელაურში 40 დღიური ვენახი გააფუჭა, სოფ. ენისელში—40 დღიური მოსავალი და 60 დღიური ვენახი, სოფ. გრემში—40 დღიური ყანა და 80 დღიური ვენახები, და დანარჩენებში კი 70 დღიური ყანა და 180 დღიური ვენახები. ფულად რომ ვიანგარიშოთ ეს ზარალი, 50,000 მანათამდის იქმნებაო.

*** პიატიგორსკიდამ დეპეშით აცნობებენ ერთს პეტერბურგის გაზეთს, რომ 1 მაისიდგან კავკასიის მადნის წყლებზედ სულ სხვა წესები იმოქმედებენო. ეხლა ბევრით განკარგებული იქნება ავად-მყოფის ყოფა და ცხოვრებაო. მშვენივრად არის გამართული აუზები, გარდააკეთეს ხეივნები და ამას გარდა მდიდრულად გააწყეს და მორთეს კერძო და სახაზინო სადგომებიო.

*** საპიორნის ქუჩაზედ, ორი კვირა იქნება, რაც მარდანოვის სახლის გვერდზე, სადაც პოლიციის განყოფილებაა, ერთს ადგილას მიწა ჩახრამულა. ამის მიზეზი ის არის, რომ ნება-დაურთველად ამ სახლის პატრონს თავის ადგილიდგან გაუყვანია მილი სხვა-და-სხვა სიბინძურის გასადენად. აქამდინაც არ გაუკეთებიათ ეს ადგილი, რადგანაც სახლის პატრონი მილს არა ხურავს და მყრალი წყალი შეუწყვეტლივ დგას მილში. ნუ თუ არ შეიძლებაო, ამბობს გაზ. „კავკაზი“, რომ ამ სახლის პატრონს ძალით დაახურვინონ მილი და ამისთანა სისაძაგლე მოისპოსო.

*** ამ კვირის დამდეგს ჩვენ ქალაქში მოვიდა ავსტრიის ელჩი ბარონი დე-კოზეკი, რომელიც სპარსეთში ელჩად არის დანიშნულიო. 8 მაისს ხსენებული ელჩი საღამოზედ მიმავალის მატარებლით წავიდა ბაქოს, საიდგანაც თეირანში აპირობს გამგზავრებასაო. (გაზ. „კავკაზი“)

*** ტფილისში ჩამოვიდა ოპერის არტისტი ბ-ნი ბიაზი, რომელსაც რამდენიმე სხვაც მოუყვანია და, როგორც ანტრეპრენიორს, განძრახვა აქვს დაიქირაოს „Семейный садъ“-ი და ზაფხულის სეზონის განმავლობაში წარმოდგენები ჰმართოს ხოლმე. აქაურმა მთავრობამ ბიაზის მოსთხოვა გირაო ფულად იმდენი, რამდენიც ორის თთვის ჯამაგირს შეადგენს არტისტებისას. ფულად გირაოს მიცემის მაგიერ, ბიაზი სცდილობს თავდები იშოვნოს ვინმე, მაგრამ შარშანდელის იმავე ბაღის ანტრეპრენიორის ეიქტოროვ-პარხომოვიჩის ამბავის გამო, მგონია ადვილად ვერ იშოვოს საიმედო თავდებიო (<ახ. მიმოხ.>)

*** ამავე გაზეთსა სწერენ ახალქალაქიდამ, რომ ამას წინად საქონლის ჰირი გაჩნდა სოფ. გორელომში და 33 ჰირიანის საქონლიდგან 5 მოკვდაო. ჰირიანი საქონელი ეხლა სულ 10-ღა იქმნება, დანარჩენი სულ მორჩნენო.

სახელდახელო

დანაშაული ვარ მე მკითხველთან, თუ არა?—გისის ბრძანებით შევსწუვიტე ფელეტონების წერა.—ბანკის სხდომები და მეკენჭეების უბედურობა.—ჩვენი „ორატორები“ და ჩემი აზრი მათ დიპლომატურს ნიჭზე.—საერთო ცხვირის ხოცვა, როგორც კარგი საშუალება გაჭირვებაში.—„ჭრელი ქართული“.—ჩოხიან-კარტუზიანი.—უცნაური ტყუილი.

აგერ თითქმის ორი კვირაზე მეტია, რაც თქვენს მონა-მოსამსახურეს, ბატონო მკითხველო, არ უსაუბრია თქვენთან „სახელ-და-ხელო“ საგნებზე. კანონიერობის თვალით რომ შევხედოთ ამ ჩვენს საქციელს, იგი მოსაწონი არ არის და არა თუ მოსაწონი, ვინ იკის, შეიძლება დანაშაულობადაც ჩაითვალოს. ყოველ შემთხვევაში მე დარწმუნებული ვარ, რომ თუ უბრალო სიკვდილის-შვილი არა,—სხვა-და-სხვა „ზაკონ-კანონის“ <აბრუნდ-ჩაბრუნდებაში> გამოჰხრა-

---

მექარხნემ თვისი დიდი პივის ქარხანა თავის მოწყობილობით თურმე ერთ ძირს ტიულპანში გასცვალა! ბევრმა ვაჭრებმა თავიანთ სავაჭროს თავი დაანებეს და ტიულპანის მოყვანას შეუდგნენ. მარტო ჰოლანდიაში არ იყო ეს ამბავი. საფრანგეთში ერთმა კაცმა ერთ ძირს ყვავილში მთელი წისქვილი მისცა, და ერთმა მამამ თავის ქალს <მზითვად> ერთი ძირი ტიულპანი გაატანა. სიძე ძალიან გახარებული დარჩა ამ უხვის მზითვისათვის.

ჰოლანდიაში თურმე ერთმა საწყალმა ხარაზმა, რალაც მანქანებით, შავი ტიულპანი მოიყვანა. ამის ხმა მთელ ჰოლანდიაში გავარდა. ბევრი მოვაჭრეები გაუჩნდა. ერთ დღეს ამ ხარაზთან მივიდნენ „ტიულპანის საზოგადოების“ წარმომადგენელნი და შეევაჭრნენ შავ-ყვავილსა; ჯერ 200 მანეთიდამ დაიწყეს, მაგრამ ხარაზი მაგრა იდგა. ბოლოს 1500 მანათამდე რომ მიიდნენ, ხარაზი დათანხმდა და ამ ფასად მისცა. როდესაც „ტიულპანის საზოგადოების“ პრეზიდენტს ჩააბარა ხარაზმა ეს იშვიათი ყვავილი, მან უეცრად იატაკზედ დაახალა იგი და ფეხით გასრისა! ხარაზი გაკვირვებით უყურებდა!... <შე სულელოო, უთხრეს მას, ჩვენცა გვაქვს შავი ტიულპანიო, ხოლო არ გვინდოდა, რომ მეტოქე გამოგვჩენიყოო; ამის მოყვანა შემთხვევა არისო, და იქნება თავის დღეშიაც ველარ მოიყვანოო!.... ჩვენ ისე გვინდოდა მაგის ყიდვაო, რომ ათასი თუმანი რომ გეთხოვა, მოგცემდითო. ამ სიტყვების გამგონე ხარაზი, თურმე იქვე ჯავრით მოკვდაო.

კიდევ სხვა უფრო სასაცილო ამბავი მომხდარა, რომელსაც მოგვითხრობს საფრანგეთის აკადემიკი მაქსიმე დიუ-კანი. ერთი ზღვის ჯარისკაცი თურმე შორის მოგზაურობიდგან დაბრუნებული შეეიდა ერთს თავის ნაცნობ მეტიულპანესთან. სახლის პატრონი შინ არ დაუხვდა. სადილობის დრო იყო, და ჭამა მოუნდა. ამაიღო ამ ჯარის-კაცმა ჯიბიდგან პური, და ფანჯარაში ეწყო რამდენიმე ტიულპანის ძირი, რომელიც ხახვის ძირში არ გაირჩევა. აიღო ამ კაცმა ერთი ხახვი და მოკბიჩა; ვერაფრად ეჭაშნიკა, მწარე თურმე იყო; მერე მეორე ნახა, ისიც არ ვარგოდა, ასე რომ თერთმეტის ტიულპანის ძირი წაახდინა და ქუჩაში გადაყარა. პატრონი მაშინ შემოვიდა, როდესაც უკანასკნელ ტიულპანსა ჰკბეჩდა მისი სტუმარი!...წარმოიდგინეთ მისი მდგომარეობა... ჯარის-კაცმა სამი ათასი თუმნის ტიულპანი შეუჭამა.

ბოლოს დროს ტიულპანომანიამ ისეთი მიმართულება მიიღო, რომ მართებლობა იძულებული შეიქნა გამოეცა სასტიკი კანონები ამის თაობაზედ. ტიულპანით ვაჭრობა აიკრძალა ჰოლანდიაში. ვინ იცის ამ კანონს იქნება უფრო წაექეზებინა მოყვარენი, მაგრამ ინგლისში დაიწყეს ამ ყვავილის მოყვანა და ისე გამრავლდა, რომ <ჩირადაც> აღარა ღირდა!

რაც უნდა იყოს, საკვირველი მოვლენა კი არის ტიულპანომანია და მარკომანია!... ნუ თუ მათ შორის, ვინც ათას თუმნობით აძლევდა ერთს ყვავილში, ერთი ჭკვიანი კაცი არ ერია?... განა სუყველა სულელია, ვინც მარკების გროვაში ნახევარ მილიონამდინ ფრანკს აძლევს!... რასაკვირველია არა; მაგრამ კაცის <გუნებას> ვინ მიხვდება?...

***

ყველაზედ კარგი ცხენების თაესლა ქვეყანაზედ თურმე გრაფ პატოცკისა აქვს პარიჟში. ისე მდიდრულად არიან შემკული, რომ ბევრი სრა-სასახლეც არ მოიპოვება. მარმარილო, წითელი ხე, ბრინჯაო, თითბერი—აი მასალა, რომლითაც არის შემკული ეს თაესლა. ბაგები წითელის ხისაგან არის გაკეთებული, ბრინჯაოთი მოთუთული და გრაფის გვირგვინით მოწყობილი. იქვე მარმარილოს შადრევანები არის და ცხენები როცა წყლის სმას გაათავებენ, შადრევნები წყლის მაგივრად ყვავილებით აივსება ხოლმე. სულ ამ თაესლაში გრაფს ოც-და-თერამეტი ცხენი უბია; ცხენების სადგომის გვერდზედ არის სამზარეულო ცხენებისათვის (?) და მზარეული ინგლისიდამა ჰყავს დაბარებული. შემდეგი სადგომი წარმოადგენს დიდ დარბაზს ცხენების საბანებელს, ანუ აბანოს. აქ არის ყოველგვარი საბანებელი, ციების წყლით, ორთქლის აუზები და მრავალი სხვა სისტემა ბანებისა. სარაიები რამდენიმე ეტაჟაშია გამართული და ეკიპაჟები მაშინებით ააქვსთ. სულ სამოცი მეტი ეკიპაჟია და პირველი ხელოსნების ნაკეთი. თვით სასახლეც თურმე კარგია, მაგრამ „თაესლა“ კი სჯობიან.—ამასაც <ცხენოსანია“ უნდა დავარქვათ, მეტი ღონე არა არის!...

***

ერთს საფრანგეთის სოფელში შემდეგი ამბავი მოხდა. ცოლ-ქმარნი **ბარდანი** ვერა სცხოვრებდნენ კარგად ერთმანეთში. ქმარი თურმე ძალიან ლოთობდა. ერთ ღამეს, როდესაც ბარდა საშინელი მთვრალი დაბრუნდა, ცოლმა განიზრახა მისი მოკვლა, ისე-კი რომ ეგონოთ ვითომ თითონ მოიკლა თავიო. ცოლი ავიდა ჩარდახში, ჩამოუშვა იქიდგან თოკი, მერე დაბრუნდა ოთახში და ქმარს თოკი ყელზე გაუკეთა. ხელ-მეორედ ავიდა ჩარდახში და დაიწყო თოკის წევა. ძალიან ბევრი იტანჯა, მინამ ქმარის გვამს ასწევდა, რადგანაც ძალიან მძიმე იყო. როდესაც საკმაოდ ასწია; ცოლი გამოვარდა გარედ, გაიწეწა თმა, კაბა გულზედ ჩამოიხია და მოჰყვა საშინელ ღრიალს, მიშველეთ, ჩემმა ქმარმა თავი დაირჩოო! შეიყარნენ მეზობლები, გამოიკითხეს და ვერა გაიგეს-რა საცოდავის დედაკაცის ტირილის გამო. ბოლოს დროს ზოგიერთმა სთქვა, იქნება კიდევ ეშველოს რამეო, წავიდეთ ვნახოთ მიცვალებულიო! შევარდნენ ოთახში... და პირი დააღეს!.. ჭერში მაღლა ქანაობდა რკინის ფეჩი და ბარდო-კი გვერდით იდგა და სიცილითა კვდებოდა! თურმე ქმარს ისე მაგრა არა სძინებია, როგორც ცოლს ეგონა, და როდესაც დედა-კაცს ყელზედ თოკი მოუბამს ქმრისათვის და ჩარდახში ასულა ასაწევად, ამ დროს ქმარს თოკი ყელიდგან მოუხსნია და ფეჩზედ მოუბამს. ცოლი თურმე დაიჭირეს ქრმის მოკვლის მოწადინებისათვის.

დონ ჟუ.

კებული ადვოკატი ზემო აღნიშნულს ჩემს მოქმედებას რამე ცუდს და საშიშარს სახელს დაარქმევდა და მიმითითებდა იმ ერთს «სკამზე», რომელზედაც დიდი ხანია თვითონ არიან დასაბრძანებელნი. მაგრამ მე არ მეშინიან ადვოკატებისა! არ მეშინიან მისთვის, რომ ისინი უმეცარნი და ჭკუაზედ ცოტა თხლად არიან და არა იციან-რა იმ კანონ-მდებლობის გარდა, რომლის შემწეობითაც ისინი

„Бичуя маленькихъ воришекъ
„Для удовольствія большихъ,

ოსტატურად იტენენ ჯიბეებს. არის კიდევ სხვა კანონ-მდებლობა, რომლის ავტორი თვითოეულს ჩვენგანს მომწყვდეული ჰყავს მკერდის მარცხენა მხარეში. ეს გრძნობათა წყარო და ტკბილ სურვილთა დამბადებელი მისანი დაბეჯითებით ბრძანებს, რომ როცა მაისის მზის სხივები სიყვარულით გეალერსებიან მაღლიდამაო, როცა გარშემო მთა-ველთა ზურმუხტი თვალს გიშვერება შორიდამო, როცა ბადრი მთოვარე ალერსიანად ჰფენს თავის მკრთალს ნათელს შეყვარებულთა გუნდებს აჰყვავებულ ბაღების მყუდროებაშიო,—ყოველის ცოცხალის კაცის ვალია დაემორჩილოს ამ უხილავს, მაგრამ უძლეველს ძალებსაო და დროებით მაინც ივიწყოს იგი,

„ეკლიანს გზაზე სოფლისა
„რაც სვა სიმწარე!“

და, აბა, მითხარით, სად შეიძლება ისე კარგად დავიწყება ამ ეკლიანს გზაზე მოპოვებულის სიმწარისა, თუ არა ორთაჭალის, მუშტაიდის, ბოტანიურის და სხვების მაისის სიუხვით გამშვენებულ ბაღებში, სადაც ეხლა ასეთის ეშხით გაჰკივიან ბულბულნი და მათ გალობა-ყეფას ძგერით ბანს აძლევენ შეყვარებულთა გულნი?..

აი რისთვის მეც სხვებსავით, ვისაც არ დაუკარგავს ჯერ სიყვარული მშვენიერების მიმართ, უარ-ეყავი დროებით წვრილმანი საყოველ-დღეო ზრუნვანი (მათ შორის საფულეტონო საგნებზედაც ფიქრი) და მივმართე იმ ადგილებს, სადაც ყოველ ბუჩქიდამ ისმის თარის ხმა და ეშხით მთვრალის პოეტის სასიხარულო სიტყვები:

„გველების კარი გაზაფხულისა,
„დროთა ცვალებით დანაგულისა,
„მოგვივალს ყამი სიხარულისა,
„თვისთანა მშონე შვება სრულისა:
„გისაც ხელთ გქონდეთ ნება გულისა,
„იგემეთ სიტკბო სიყვარულისა!“

* * *

«იგემეთ სიტკბო სიყვარულისა!» — ნეტა ვინ უგუნური აუხვევდა გზას ამ მადლიანს რჩევას, რომ ეს ყოველთვის შესაძლო იყოს და ადვილად მისაღწევი? მაგრამ, ვაი, რომ სიტკბოს მუდამ სიმწარეც თან ახლავს და მაისის ვარდებს ხშირად ბასრი ეკლები თანა ზდევს. ამ ჭეშმარიტებას, იმედია, არ უარ-ჰყოფენ ისინი, ვინც ეგრედ წოდებულ «ბანკის კრებისა» მოწამენი იყვნენ ამ უკანასკნელ დღეებში. საბრალო მეკენჭეები! ისინი ხომ მსხვერპლნი შეიქმნენ თავის მოვალეობისა! ულმობელი მოვალეობა! რისთვის ურევს იგი სიმწარეს გაზაფხულის ტკბილს ფიალში? ოთხი,—გესმისთ?—გაუთავებელი ოთხი დღე გაგრძელდა იგი კრება და მასთან, რასაკვირველია, ორატორების „რეჩები“ და უბრალო და ბრალიანთა მსმენელთა წუნ-დაუდებელი მოთმინება!.. მოლუშული წარბები, დამცინველი ღიმილი, გესლიანი ხარხარი, უნებური ძახილი,—ოჰ, ეს ყველამ მეტად უტყუარი ნიშნებია ადამიანის გულის მღელვარეობისა და ყველა ამათ საკმაოდ იჩინეს თავი ზემოხსენებულს კრებაზედ... ამომრჩეველთა კრება თითქო გაიყო ორ ბანაკად. უმცირესი მათგანი ეომებოდა ქარის წისქვილებს, უმრავლესობას კი ბრაზი მოსდიოდა ამ ახირებულ რაინდებზე. ვინ იყო ნეტავ მათგან მართალი? არც ერთი და არც მეორე მხარე, არც ზედ-მიმსევნი და არც მომგერებელნი,—მართალი ვიყავ მხოლოდ მე, მშვიდი და აუჩქარებელი მეფეელეტონე, რომელიც შორიდამ ეუცქეროდი ბრძოლის ველს და ესტკბებოდი ძვირ სანახავით. ესტკბებოდი და თან არაკებულ ბაყაყსავით ესივდებოდი სიამაყით... არა მაინც, რა ცოტას და უმნიშვნელოს მიზეზს რა დიდი და მრავალ-ნიშნოვანი შედეგი მოსდევს თურმე ხან-და-ხან?! ნიუტონიო, ამბობენ, თავის დიდებულს კაკონს ვერ მიაგნებდა, რომ ხიდამ ჩამოვარდნილი ვაშლი არ დაენახაო. მე, რასაკვირველია, ნიუტონობას არა ვჩემობ, მაგრამ ზოგიერთს ჩვენს «ორატორებს» რომ დაეუგდე ყური, მეც ერთი კარგი და სანუგეშო ჭეშმარიტება გამოვწურე მათის ეგრედ წოდებულ «რეჩებიდამ». თურმე, ნუ იტყვით, ჩვენ—ქართველები, არა თუ ყველა პოეტები ვყოფილვართ, როგორც ამტკიცებდა, რასაკვირველია, ხუმრობით, ერთი ჩემი თანამოკალმე, არამედ დახელოვნებული და გამოცდილი დიპლომატებიც. ეს უკანასკნელი ჭეშმარიტება, ვიმეორებ, ჩემგან არის პირველ ცნობილი და, აი, რა რიგად. მოგეხსენებათ, რომ ყველაზე მეტად ოინბაზმა და გამოჩენილმა დიპლომატმა ტალეირანმა სთქვა ერთხელ, რომ კაცს ენა მისთვის აქვს მიცემული, რომ აზრი დამალოსო. თუ ეს მართალია, ჩვენი «ორატორები» ყინულზე გააცურებენ ყველა ტალეირანებს და ბისმარკებს, წარმოიდგინეთ, რომ ზოგიერთი მათგანი მთელი ორი საათი ლაპარაკობდა კრების წინაშე და მემრე ისე დალაგებით და მოხერხებულად, რომ არა თუ სხვებმა ვერ გაიგეს მეტყველის აზრი, თვითონ მთქმელნიც კი გულმოდგინედ ჩაფიქრდნენ: «ნეტავ რა იყო რომ ესთქვიო?» განსაკუთრებით ისახელა თავი ერთმა ორატორმა. მისი სიტყვა პირველი ყუმბარა იყო, რომელიც გამოვარდა ოპოზიციის ბანაკიდამ, მაგრამ ამ ყუმბარაში, სხვა და-სხვა ასაფეთქებელ და საშიშარ წამალის მაგიერ, მისს გამკეთებელ ოსტატს, რაღაც ახირებულის და, რასაკვირველია, საოხუნჯო მოსაზრების გამო, ბურნუთი ჩაეყარა მარტო. მე ამას იმ საფუძვლით ვამტკიცებ, რომ დიდის ვაით და ვაგლახით გამოტყორცნილმა ყუმბარამ არა თუ არ მოახდინა-რა ასეთი გულით მოწადინებული სრვა და ჟლეტა, არამედ გამოიწვია კიდეც ახირებული შედეგი. ეს შედეგი გამოიხატა ჯერ იმაში, რომ მთელი დარბაზი გაუჩუმდა, თითქო ყველას ენა მუცელში ჩაუვარდაო, ანუ თითქო იქ შამოესვენებინოთ მძიმე და უიმედო სნეული, და მემრე,—იმაში, რომ ასტყდა გადმეტებული და დაჭინებული ცხვირის ცემინება და ცხვირის ხოცვა.. საბრალო ცხვირები! მათი რა ბრალი იყო, რომ ბაგეთ სწყუროდათ გაცინება და ეს სიცილი არ შეესაბამებოდა დარბაისლურს კრებას? მაგრამ, მაინც დიდება მათ, ამ ცხვირებს, რომ ერთხელ კიდევ არ უღალატეს თავიანთ პატრონებს და ასე მოხერხებულად გამოიყვანეს ისინი გაჭირვებიდამ!...

* * *

მეორე რაც გაართობდა და გაახალისებდა კრებაზე ჩემისთანა მოცლილს კაცს,—ეს ახალ-მოდური ქართული! ღმერთო, რა გარმიანულს ენაზედ ლაპარაკობდნენ ზოგიერთი ორატორები და რა უსუსურად იქცეოდნენ ზოგიერთი «კაჟ-თოფოსნები». ამ უკანასკნელებზედ არაფელს ვიტყვით და ახალ-მოდურ ქართულზე კი ის უნდა ვსთქვათ პირველ ყოველისა, რომ იგი ჩვენის ინტელიგენციის საკუთრებად მიგვაჩნდა ამდენ ხანს, მაგრამ გამოდგა, რომ დიდად შემცდარი ვყოფილვართ. «ჭრელს ქართულს» დიდი გაელენა ჰქონებია ქართლ-კახეთის სოფლებშიაც და მეტად აუფრთოვანებია კეთილ-შობილთა მჭევრ-მეტყველობა. სხვა არ ვიცი და მე აგერ სამი დღეა სულ იმისთვის ვმადლობ შემოქმედს, რომ ჩემი ორი ღვთისგან ბოძებული სმენის კარნი დაუხშობელი გამომყვა ამ ალიაქოთიდამ.

— მე, ესლი სპროსიტე, იმას დალაქუ,ბატონებო,თითქმის ასე ამბობდა მაგალითად ერთი «ორატორი», რომ თუ ნუჟნო და თუ მართლა ნეობხოდიმოა, ნუ დაესტოვებთ ბეზ ენიმანია იმ პატრებნოსტებს, რომელსაც რომ მოითხოვს ვობშჩე პორიადოკი და რომელიცა რომა ნაბძანებია თვით ზაკონისაგან და სხვა...

— „კალოსები გავამაზვინოთო!“ მითხრა ერთხელ «იამშიკმა», როცა დავუახლოვდით ერთს სტანციას. მაგრამ იგი, ერთი რომ „იამშჩიკი“ იყო და მერმე კიდევ შთამომავლობით სომეხი, რომელიც მარტო ორი კვირის წინად ჩამოსულიყო ერევნიდგან. მაშასადამე მისი „კალოსების გამაზვინება“ კიდევ ასატანი იყო, ხოლო ჩვენის თავადიშვილების და მერმე კიდევ გაორატორებულ თავადიშვილების ამ გვარი ქართული კი სწორედ „გამაზვინების“ ღირსად უნდა ჩაითვალოს... სხვა რომ არა იყოს-რა, ის მაინც უნდა მივიღოთ სახეში, რომ მამები რომ ამისთანა საქმეს სჩადიან, რა უნდა ქმნან შვილებმა და შვილებმა რომ მამებს წაჰბაძონ,—ვისღა უნდა დარჩეს, ან და რაღა მოხელე უნდა იქმნეს

„ენა მდიდარი,
„ენა მაღალი,
„მის სიღრმე, ძალი?..

* * *

წლევანდელს კრებას თავისი ავიცა და თავისი კარგიცა — ორივე ჰქონდა. ერთის მხრით ცხადია, რომ ჩვენ დაგვიწყებია არამც თუ ჩვენი ენა, არამედ ჩვენთა მამა-პაპათა თავაზიანი ქცევა და ზდილობა; გვაკლია მოქალაქობრივი გრძნობა და ის ზნეობითი სიმაღლე, რომელიც ყოველს გონიერს კაცს ვალდებულად ჰხდის,—სადაო საქმეზედ ლაპარაკის დროს მხოლოდ საქმეზედ ილაპარაკოს, თუ უნდა რომ საჯარო სჯა სჯად დარჩეს და არა უშვერ ყბედობად. მე გამაკვირვა ერთმა ჩოხიან-კარტუზიანმა წევრმა კრებისამ თავისის უშვერის ქცევითა და ბრიყვულის სიტყვა-პასუხითა. ბევრჯერ შევსწრებივარ ქართველს კაცს საზოგადოებაში, კრებაში, ტოლ ამხანაგებში და იმისთანა უმართებულო ქცევა და ყოველად საზიზღარი ლაპარაკი არ გამიგონია ქართველის კაცისაგან არამც თუ კეთილ-შობილისა, არამედ უწვრთნელ გლეხისაგანაც-კი. ჩვენ ქართველებმა, მართალია, ხშირად ვიცით უწმაწური ლაპარაკი, მაგრამ საზოგადოებაში, საჯაროდ კრებაში სადმე ყოველი ჩვენგანი მორიდებულია, სიტყვა ფრთხილია და თავაზიანი. აფსუს, ჩვენო უწინდელო თავაზიანობავ, მართებულობავ და ზრდილობავ!..

მე იმას მოგახსენებთ, რომ ხსენებულმა ჩოხიან-კარტუზიანმა ერთი ასეთი ბრიყვული სიტყვა წამოისროლა, რომ გავკვირდი, კეთილ-შობილი კაცი ესე როგორ გაკადნიერდა, ეგრე ზნეობითად როგორ განამცეცებულა მეთქი. ნეტავი ჩოხა მაინც არა სცმოდა, ჩვენდა სამარცხვინოდ, იგი ჩოხა, რომელსაც პატივით და დარბაისლობით ატარებდნენ ჩვენნი მამა-პაპანი.

ნუ თუ ის უზრდელი ვაჟ-ბატონი ამდენს ხანს ვერ მიმხვდარა, რომ ბრიყვი-სიტყვა თვითონ მთქმელსა სცხებს მწვირეს და ის ტალახი, რომელსაც იგი აგუნდაღებს სასროლად, მარტო თვითონ მასვე სჭირს!.. ჩვენდა სანუგეშოდ, მარტო ერთი იყო ამისთანა უცები, უშვერი და ზნეობა გამოკლებული. მეტყვიან, არ არის იმისთანა ოჯახი, რომ ერთი მახინჯი მაინც არ გამოერიოსო. მართალია, მაგრამ მახინჯიც არის და მახინჯიცა. ეს ჩოხიან-კარტუზიანი იშვიათია და ამიტომაც თითით საჩვენებელი. საკვირველია, ან რად ერევა საქმეში, რომ ამისათვის არც ჭკუა აქვს, არც ქცევა, არც ენა და არც ზრდილობა!..

ვინ დაემდურება, რომ ამისთანა ვაჟ-ბატონი თავის ქერქში იყოს და კუსავით ფეხი არ გამოჰყოს,—მეც ნახირ-ნახიროო?

მაგრამ რას იზამ? ტყუილად კი არ არის ნათქვამი:

„ავსა კაცსა ავი სიტყვა
ურჩევნია სულსა, გულსა“.

სწორედ რომ ცუდს დროში ვცხოვრობთ. ზოგიერთების ქცევას რომ ვაფიქრდები, თმები ყალხზედ დგება. ნეტა რა დაემართა ქვეყანასა? ღერძი ხომ არ გასტეხია? აი ერთი საოცარი მაგალითი კიდევ დროთა ნიშნად აღსაბეჭდი. ერთის აქაურის რუსულის გაზეთის „რეპორტიორმა“, ანუ, უკედ ესთქვათ, მოენემ ერთი უცნაური ტყუილი გამოხანხლა ამ ოთხისა თუ ხუთის დღის წინად: მიუტანა გაზეთს ამბავი, რომ ტფილისის საადგილ-მამულო ბანკი სადილს ჰმართავსო თავის გულ-უბრყვილო წევრთათვისაო. რასაკვირველია, ამ ტყუილის და სიცრუის შემხანხლავმა არ დაზოგა თავისი მახვილგონიერება, ტყუილს ტყუილი ზედ დაართა და შეთხზა საგაზეთო წერილი. რედაქციამაც, რა თქმა უნდა, დაბეჭდა. ყველანი აქეთ-იქით ვკითხულობდით: რა სადილი? ვინ? როგორ? სად? საიდგან მოლანდებია რეპორტიორსა და გაზეთსა იმისთანა ამბავი? როგორც ამისი ჩინეთის მანდარინმა არა იცის-რა, ისე აქ ჩვენში არაერთ არა იცოდა-რა და არც იცის დღესაც. აიღეს და რეპორტიორის გულთ-მისნობას მიაჩემეს ეს უცნაური ტყუილი. არა, სწორედ ღერძი გასტეხია ქვეყნიერობას, რომ ამისთანა ტყუილებსაც გასავალი აქვს, მერე სადა? გაზეთში!.. ღმერთმა მშვიდობა მისცეს იმ გაზეთსაც და მის თამამს რეპორტიორსაც!.. ჩვენ-კი ეს ამბავი წყალ-წასაღებად და ყბად ასაღებად აღვნიშნოთ...

ილ. ხონელი

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

საფრანგეთის და გერმანიის გაზეთებს დიდი ჩხუბი აქვთ ეხლა ერთმანეთში ატეხილი; ნემენცები გარდა ამისა ინგლისელებსაც ეჩხუბებიან.

კიდევ გაიძახიანო,—დაცინვით ამბობს გაზეთი „Московскія Вѣдомости“, რომ დიდ სახელმწიფოთა შორის თანხმობააო, რომ ესრედ წოდებულ «ევროპიის კონცერტს» ხმები შეწყობილი აქვსო. საუცხოვო ხმებით შეწყობილი კონცერტიაო, როდესაც ევროპაში სულ ხუთი დიდი სახელმწიფოა და სამი ამ ხუთში მხოლოდ შესაფერ დროს ელოდებიან, რომ ერთმანეთს წეაკიდნენო.

საფრანგეთის, გერმანიის და ინგლისის გაზეთების შორის გაცხარებული ომი ხშირად გვინახავს, მაგრამ, როდესაც კი საქმე საქმეზედ მივა ხოლმე, სამივე სახელმწიფო ერთმანეთს ხელს აძლევენ და ერთად მოქმედებენ. წარსულის მაგალითები ამას ცხადად გვიმტკიცებენ.

* * *

გაზეთი «Новое Время» ხშირად ართობს თავის მკითხველებს სხვადა-სხვა ანდაზებით და მოგონილ ამბავებით. აი სხვათა შორის რა ამბავი შეგვხვდა. ორ მოხელეს ლაპარაკი აქვთ პეტერბურგის ნიჭიერ არტისტ დავიდოვზე. ერთი მოხელე ფინანსთა უწყებას ეკუთვნის, მეორე სათეატრო მართებლობას.

ფინანსთა მოხელე. მაგას როგორა სჩადით, რომ დავიდოვს ითხოვთ და თავს ანებებთ?

თეატრის მოხელე. რას იზამ? როგორც ნამდვილ შვილს, თავს ისე ვევლებოდით.

ფინ. მოხ. ვითომ? გაზეთები რომ სულ სხვას ამბობენ?

თეატ. მოხ. ოჰ, ეს გაზეთები! ნეტა რა იმათი საქმეა? არა, გაზეთებს უნდა სრულიად აღეკრძალოთ თეატრის ადმინისტრაციაზე ლაპარაკი... სხვა ღონის-ძიება არა არის-რა... რა უნდათ? დეე, პიესებზედა რაც უნდათ სწერონ...

ფინ. მოხ. კარგია, თქვენმა მზემ. გაზეთები ჩვენზე ხმას ნუ ამოიღებენო. რატომ? რითი დაიმსახურეთ თქვენ ეგ უპირატესობა? აი ჩვენ მინისტრზედაც კი ვინ იცის რას არა სწერენ და თქვენ კი გნებავთ, რომ თქვენ განყოფილების უფროსსა და სეკრეტარზედაც კრინტი არ დასძრან. არა, მაშინ ყველანი ჩვენს სამსახურს თავს დავანებებთ და თქვენს უწყებაში გადმოვალთ. იმაზე უკეთესი რა იქნება, რომ შენზე ხმის ამოღება არავის შეეძლოს. სრული ნება გაქვს...

თეატ. მოხ. ჩვენი უწყება სულ სხვა უწყებაა. აი ჩვენ საჯინიბოს მმართველობაზედაც არავისა აქვს ნება, დაწეროს რამე.

ფინ. მოხ. მაშ რაღა გინდათ? გადადით საჯინიბოს უწყებაში და მაშინ გაზეთების ყბის ასაღებად აღარ იქნებით...

თეატ. მოხ. როგორც ვატყობ, მგონი, უნდა კაი დარი დადგეს....

„სიტყვა ბანზე ასაგდოვო“, რომ იტყვიან სწორედ ეს არის.

* * *

იმავე გაზეთში დაბეჭდილია რამდენიმე ნაწყვეტ-ნაწყვეტი აზრი. მოგვყავს ჩვენ აქ ორი:

საერო განათლების უწყებაში მთვარეს უჭირავს პირველი ადგილი.

რუსეთს არ უნდა ეშინოდეს, რომ შუშა ან ქვის ნახშირი შემოგვაკლდება: გინდ რომ დაგვაკლდეს კიდეცა, მაინც კანცელარიის დარჩომილი ქაღალდი დიდ ხანს გაგვიწევს შუშის ან ნახშირის მაგივრობასა.

დეპეშა

8 მაისს

პეტერბურგი. ოფიციალური დეპეშა სეგასტოპოლიდგან გვაუწყებს: 6 მაისს მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების დღეს ხელმწიფე იმპერატორისა და ხელმწიფე იმპერატრიცის თანა-დასწრებით დიდის ამბით აკურთხეს ალექსეევის დასახლეთის ‹დოკი›, ჩაუშვეს წყალში ორ-ჯახრაკიანი ჯავშნიანი ხომალდი ‹ჩესმა› და დაიწყეს შენება სამის ფოლადის საკონონერო ნავისა. ეგელა ეს ამბავი დიდის ეოფით მოხდა, მეტადრე დიდის ეოფით ჩაუშვეს ხომალდი. სადამოს კრეისერ „Москва“-ზე, რომელზედაც ბინა აქვსთ მათ იმპერატორებით უდიდებულესობათა, სადილი იყო მომზადებული და სადილად მიწვეულნი იყვნენ, ამპრალისა და მოხუცებულთ ჩერნო-მორელთ გარდა, ფლოტის მადალ-სარისხოვანნი მოხელენი და გემების კომანდირები. სადილის შემდეგ სეგასტოპოლი და გემები განათდა ჩირადითა და ელექტრონის მზეთა-მიერ; წვიმამ მალიან დაუშალა ჩირადხა და შუშხუნების აშვებასა.

გამოცხადებულ იქმნა ბრძანება შავის-ზღვის ფლოტის მიმართ: ‹გვიდა თითქმის ოც-და-ათი წელიწადი მას აქეთ, რაც შავი ზღვის ფლოტმა დიდი ქველობა გამოიჩინა, ხომშობლოს სიკეთეს შესწირა თავი და სულით სეგასტოპოლის მარად ხახოვარ გორებზე დაისადგურა. დღეს კვლავ ფუძნდება იგი ფლოტი მისთვის მგლოვიარე ხომშობლოს სახისარულოდ. გონება და ფიქრი ჩემი იმაზეა მიმართული, რომ მშვიდობიანად განკარგებულ იქმნას ერის კეთილ-დღეობა; მაგრამ შეიძლება გარემოებამ გამიძნელოს ჩემის სურვილის შესრულებადა იძულებულ-მეოს შეთოფ-იარადებულმა დავიცვა სახელმწიფოს დირსება. თქვენც ჩემთან ერთად დაიცავთ ამ დირსებას იმ ერთგულებით, რომელმაც გაკვეთა თანა-მედროვენი, იმ სიმტკიცით, რომელიც თქვენმა წინა მოადგილეებმა გამოიჩინეს შაბაის ჩემის მოწადებით ზღვაზე,—ეს ზღვაა მათის თავ-განწირულების მოწამე. მოიანდგია თქვენთვის, დაიცევით პატივი და მშვიდობიანობა რუსეთისა.›

რადგანაც ცოდვა კომისია საერო განათლებისა უმაღლესის საქალებო განათლების საქმის განხილვაშია, ამ სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, რომ ესპანეთის სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, რომ ესპანეთის ქალთა-მსმენელთა ამ სამინისტრომ უწყების უმაღლეს კურსებზე.

ლონდონი. კონსერვატივების კრებაზე გუშინ მარკიზმა სალისბერიმ თქვა, რომ შაბათს წარმოთქმული ჩემი სიტყვა გაზეთებმა სწორედ არ დაბეჭდესო. მე გურჩევდი მხოლოდ, დიდი უფლება მიეცით მთავრობას, რომ მტკიცედ განაგებდეს ირლანდიის საქმეებსა მეთქი და ეს-კი არ მითქვამს, მალა-დამატებელი კანონები ამოქმედეთ 20 წლით კიდევ და დიდი ფული გაიდეთ ირლანდიელების წასახქეზებლად მრავლად გადასახლებისათვისა-მეთქი.

პარიჟი. თუმცა „ჭვავის“ სააგენტო უარ-ჰყოფს, ოფიციოზური გაზეთი „Temps“ ამტკიცებს, რომ სამინისტრო ნამდვილად ბრინცების განდევნის საქმის განსჯაშიაო, და სახელდობრ უფრო გრაფის ბარიეულისაო.

9 მაისს

პეტერბურგი. დაბეჭდილ იქმნა ინსტრუქცია იმაზე, თუ რა წესით უნდა დაუბრუნდეს ბაჟი 15 კაპეიკი სამზღვარ გარედ გატანილის შავოსათვის. შავოს გატანას ნება სამზღვარ-გარედ და ბაჟის უკან მიღებისა მხოლოდ მექარხნეებს აქვთ და გასატანს შავოს 3% ალკოჰოლი უნდა ერიოსო.

ოფიციალური დეპეშა სეგასტოპოლიდგან გვაუწყებს, რომ 7 მაისს ხელმწიფე იმპერატორმა და ხელმწიფე იმპერატრიცამ დაათვალიერეს რეალური სასწავლებელი და წმ. გლადიმირის ტაძარი, სადაც დასაფლავებულნი არიან ადმირლები: ლაზარევი, კორნილოვი, ნახიმოვი და ისტომინი, შეოთხე ბასტიონი და სამხედრო-ისტორიული მუზეუმი, სადაც სადამოზე გაისეირნეს „კატერით“ გაჩირაღებულ ნავთ-სადგურებში. ქალაქი, ნავთ-სადგურები და სანისტრიო სახსოვარნი ძალიან კარგად იყო გაჩირაღებული; ბევრგან აუშვეს შუშხუნები. გუშინ ნაშუადღევის 3 სათზე მათი უდიდებულესობანი, მემკვიდრე ცესარევიჩი, სხვა უფროსტოესნი ძენი და უმაღლესნი პირნი მიბრძანდნენ სეგასტოპოლიდგან გემით ფლოტის კრეისერით „Москва“ ოჩაკოვს და ნაკოლაევს, სადაც ჩაუშვებენ წყალში ჯავშნიან ხომალდს „ეკატერინა II“. კრეისერს „Москва“-ს თან მიჰყვება რამდენიმე სამხედრო გემი. ზღვა დამშვიდებულია.

‹Новое Время› გვაუწყებს, რომ შინაგან საქმეთა-მინისტრი დათხოვნილია და თავის მამულში იქმნება შემოდგომამდეო, ხოლო ამ დრომდე მინისტრის თანამდებობას შეასრულებს მისი ამხანაგი ბლეგო.

ათინა. კორფუმა ტრიკუპისა სთხოვა, სამინისტრო შეადგინეო; ტრიკუპისი დასთანხმდა და რომ სალხი დიდის ამბით მიეგება ტრიკუპისსა, სთქვა რომ გირჩევთ დაემორჩილოთ საჭიროებასაო და იმედი იქონიოთ უფრო ბედნიერის მომავლისაო.

დორპიდგან მოვიდა ამბავი, რომ ოსმალეთის ჯარმა იერიში მიიტანა ბერძენთ მოწინავე ჯარის წინააღმდეგ. შიშობენ, რომ თუ ამისთანა ამბავი კიდევ გამეორდა, ჯარები აუცილებლად შეეჯახებიან ერთმანეთსაო.

კატანია. გუშინ დაიწყო ფრქვევა ეტნამ ხაშინელის ძალითაო: 11 კრატერიდგან ამოდის ნაცარ-ტუტი და ხამი მათგანი ძალიან დიდიაო. ნაცარ-ტუტს იმოდენა მოდის რომ 200 მეტრი სიგანე აქვსო; მიწის-ძვრა ჯერაც არ შეწყვეტილაო.

ლონდონი. სახოგადოებათა შალატაში ძალიან გაცხარებული კამათობა იყო, რადგან 3 იგნისს გვდა გაუთავდა კანონს რომლითაც ირლანდიაში ადგრძალული იყო იარადის ტარება და წინადადება იქმნა შემოკანილი, რათა კანონმა კვლავ იმოქმედოსო. შარნელმა სთქვა, რომ მაგ წინადადების წინააღმდეგი არ გიქმნებია, თუ კი კანონი თანასწორად ეგელასთვის სავალდებულო იქმნება სრულიად ირლანდიაში და მაშასადამე ულსტერშიაცაო. გლადსტონმაც ამ აზრით იღაპარაკა და რომ შეეკამათა ჩერჩილს, რომელმაც ულსტერის შოტლანდიების მხარე დაიჭირა, სთქვა, ძალიან საეურადღებო საქმეა, რომ მინისტრად ნამყოფი ეუბნება სალხს, უფლება გაქვს იარადს მაჰქმართოთო‘ თუ კონსტიტუციის მიერ მოწიწებული სახსარნი წინააღმდეგობისანი საკმარისად არ მიგაჩნიაო.

10 მაისს.

ათინა. გლუისის სამინისტრო დაეთხოვა სამსახურიდამ. ტრიკუპისმა შეადგინა ახალი კაბინეთი. დროებითმა სამსედრო მინისტრმა ტრიკუპისმა სთქვა: ჯარმა დაიცვას თავი თუ ისაო და თუ თავს დაესხან, ძალა ძალითვე უპასუხონო.

ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ოსმალნი ნეისრახის ახლო თავს დაესხნენ მტერს. ოსმალთ უკან დაახევინეს ბერძნების ყარაულებს. შემდეგ ბერძნებმა აიდეს რამდენიმე ოსმალთა ბანაკი. ოსმალნი ემზადებიან თესსალიას შეესიენო.

პეტერბურგი. ოფიციალური დეპეშა ნაკოლაევიდამ გვაუწყებს, რომ გუშინ დილით მათი იმპერატორების უდიდებულესობანი მემკვიდრე ცესარევიჩი და სხვანი უმაღლესნი პირნი მიბრძანდნენ ოჩაკოვს. მოგზაურობის დროს კაი დარი დაუდგათ. ინახულეს ტაძარი, ხიმაგრენი და შემდეგ ხომალდ „ერეკლიეზე“ გადასხდნენ, რომელიც პირველის ოც მინუტზე ნაკოლაევს წავიდა. მდინარე ბუგის ნაპირი სალხით იყო სავსე და დიდის ეოფით მიეგებნა მათ იმპერატორების დიდებულებას. მესუთე სათზე მათი უდიდებულესობანი მიბრძანდნენ ნაკოლაევს, სადაც გახინჯეს ხომბორი და შემდეგ წაბრძანდნენ სახახლეში. სალხი დიდის ამბით და ეოფით მიეგებნა. სადამოს ჩირადღანი იყო გამართული და შუშხუნა ატუშეს.

გაზეთი „Новое Время“ უარს ჰყოფს მისგანვე გავრცელებულს ცნობას, გითომც შინაგან-საქმეთა მინისტრი წასულიყოს თავის სოფელში შემოდგომამდე. გრაფი ტოლსტოი წავიდა მოსკოვს რამდენისამე დღით და დაბრუნდება პეტერბურგს 20 მაისისათვის.

ვილნა. გუშინ სრულიად გადიწვა ფერრონის ციხე. უბედურება არავის არ შემთხვევია. დაიწვა მხოლოდ გაწვრთნილი ბირუტყვი, სამხედრო და სტენის მოსართავი.

ფილიპოპოლი. ადექსანდრე-მთავარს მოუღია ადმოსავლეთი რუმელია და გარნაში მიდის.

ოპპოზიციამ გამოაცხადა ბრძოლა მაკედონიაში და ურჩე ხ ხალხს, დეპუტატები არ ამოარჩიონ საერო კრებისათვის და არ გაგზავნონ.

ლონდონი. სახოგადოებათა პალატამ გარდასწყვიტა მეორე კითხვის შემდეგ, რომ ირლანდიაში ადგრძალულ იქმნას თოფ-იარადის ტარება.

საკალენდარო ცნი

ქრისტეს აქედ ჩაჰვ (1886) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14,

ამისი ქორონიკონი — ოსჶ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4,

ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3.

ამაღლება—22 მაისს, სულიწმიდის მოსვლა—1 ივნისს, ამავ დიდამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს 2 კვირით და 6 დღით არის.

მაისი 31 დღით არის.

9 დღე პარასკევი. წმ. ნაწილთა ნიკოლოზზე საკვირველთ-მოქმედისა, წინასწარმეტყველის ისაიასი. მიცვალება ღირსისა შიო-მღვიმელისა. კათ. ნიკოლოზზე და გრიგოლისა. დამტკიცებულ იქმნა უმაღლესად წესდება კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა. 1861 წ. ჭეშმარიტი შუადღე 11—56—21. ტფილისში მზე ამოდის 4—34; ჩადის 7—18. მთვარე ამოდის 10—24 ღ. ჩაღის 7—12 ღე.

11 დღე კვირა. მღვდელ-მოწამისა მუქისა. კათ. წმ. მონიკოსი, სომ. წმ. ჯვარის მოვლინება იერუსალიმს.

სახელ-წოდება მათის უმაღლესობის კირილე ვლადიმირის-ძისა. სამურზაყანო შეუერთდა ქუთაისის გუბერნიას.

ჭეშმარიტი შუადღე 11—56—30. ტფილისში მზე ამოდის 4—33, ჩადის 7—20. მთვარე ამოდის 12—46 ღ. ჩადის 8—59.

12 დღე ორშაბათი. წმ. ეპიფანე ეპისკოპ. კათ. პანკრაციისა და დიონოზისა.

ჭეშმარიტი შუადღე 11—56—35. ტფილისში მზე ამოდის 4—32; ჩადის 7—21. მთვარე ამოდის 24—ჩადის 8—54.

მაზანდა.

გამოსადეგი ცნობანი.

1 მაისიდამ 1-ლი ივნისამდე.

ადგილობრ. შური 1-ლის სარისხისა.	5 გ.
» » 2 »	2½ »
ჯვარის მამის შური თოხისა და ლავაში 1-ლის სარისხისა . . .	4½
მე-2 სარისხისა . . .	3½
მე-3 — . . .	3 »
ძროხის ხორცი 1-ლის სარისხისა.	8 »
2— . .	7 »
ჩალა-ლაჯი და ცალკე ამოშრილი სუკა	14 »
ცხვრის ხორცი . . .	9 »

მიმოსვლა რკინის გზისა.

ტფილისიდამ გადის ბათუმს 8 ს. ⁄ 35 წ. დ.
ბათუმიდამ მოდის— — 10 ს. ⁄ 25 წ. ღ.
ბაქოში მიდის— — — 10 ს. ⁄ 45 წ. ღ.
ბაქოდამ მოდის — — 8 ს. „ — „ დ.

ტფილისსა და სურამ შუა.

ტფილისიდამ გადის 3 ს. ⁄ 19 წ. დ.
სურამიდამ ტფ. შემოდის 8 ს. ⁄ 24 დ წ..

მიმოსვლა ფოსტის ეკიპაჟთა

თბილისსა და კავკავ შუა.

ბარ-და-ბარ მხვლელნი დამით დაგდგომლად.

ტფილისიდამ გადის — 4 ს. ნაშუადღევს
კავკავში შედის — — 5 ს 15 წ.
კავკავიდამ გამოდის — 4 ს. 7 წ.
ტფილისში მოდის — 5 ს. 6 წ. 6—31

დამე დგომით:

ტფილისიდამ გადის 8 ს. დილით.
კავკავში შედის — 5 ს. 11; 6—43 ს. ღ.
კავკავიდამ გამოდის 9 ს. დილით
ტფილისში შემოდის 4 ს. 44; 5—25 სალ.

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოემბრისაისს და კერჩში შეიქლის. შორის გზით შაბათობით 8 სსათ. სადამოზე (უკეღა ნავთ-სადგურებში შეიქლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლიდამ მოდის.

ბათუმში მოდის ოქტომბრიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

განცხადებანი

იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა

თხზულებანი

ს. მ. მაჩხუბარიძისა (ყაზბეგი)

პირველი ტომის მეორე ნაწილი.

ამ წიგნზედ ხელის მომწერთ, რომელთაც კვიტანცია აქვსთ, სურვილისამებრ შეუძლიანთ მიიღონ მეორე ნაწილის მაგიერად პირველი ნაწილი გ. ჩარკვიანის წიგნების მაღაზიაში.

(5—1)

ქუთაისის საქალაქო გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ 12-ს მაისს დანიშნულია ვაჭრობა განუმეორებლად, რათა იჯარით იქმნას გაცემული შემოსავალი ქუთაისის ხიდებისა. ვადა იჯარისა ოთხი წელიწადია. ვაჭრობაზედ თვით გამგეობა დაესწრობა.

ვისაც ჭსურს აიღოს იჯარა, უნდა წინდადება ნუ ედ წარმოადგინოს ხუთასი მანათი ფული ან ბანკის ბილეთები.

ვაჭრობა სიტყვიერად იქმნება. შეიძლება აგრეთვე მსურველმა თავისი პირობა დაბეჭდილის წიგნით წარმოადგინოს; ვაჭრობა დაიწყობა შუადღისას 12 საათზედ და 2 საათზედ გათავდება. გამგეობის პირობა შეიძლება მსურველმა შეიტყოს თვით გამგეობაში ყოველდღე დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის 1 საათამდე. (3—3)

არ. ჩარკვიანის

ქართულ წიგნის მაღაზიაში ისყიდება ახლად შედგენილი

ქართული ხმები

ნოტებზედ გადაღებული ან ბეჭნაშვილისაგან.

ფასი 1 მან. და 60 კაპ

(5—2)